



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030408702821317

04-256/ო

27 / აპრილი / 2017 წ.

„სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 04 აპრილის N182 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, ამ დადგენილებით დამტკიცებული „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში-პროგრამა) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 61-ე მუხლების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს:

ა) „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ მოსარგებლედ რეგისტრირების მსურველი პირის განაცხადის ფორმა (დანართი N1);

ბ) მომსახურების/სტაჟირების მიღების პირობებზე პროგრამის რეგისტრირებულ მოსარგებელსა და სააგენტოს შორის შეთანხმების ფორმა (დანართი N2);

გ) „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ მიმწოდებლად რეგისტრირების მსურველი პირის განაცხადის (დადასტურება) ფორმა (დანართი N3);

დ) მომსახურების (პროფესიული მომზადების/გადამზადების კურსი) შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ნიმუში (დანართი N4) და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმები (დანართები: N4.1, N4.2, N4.3);

ე) სტაჟირების განხორციელების შესახებ ხელშეკრულების ნიმუში (დანართი N5) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმები (დანართები: N5.1, N5.2);

ვ) სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობის მეთვალყურეობისა და ინსპექტირების პროცედურები (დანართი N6) და მის საფუძველზე გათვალისწინებული ფორმა (დანართი N6.1, N6.2).

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ხელშეკრულების ნიმუში არ წარმოადგენს სავალდებულო ხასიათის ფორმას და კონკრეტული სიტუაციის და/ან ხელმომწერი მხარის მოთხოვნით შესაძლებელია მასში ცვლილებ(ებ)ის და/ან დამატებ(ებ)ის ასახვა/შეტანა, თუ ეს ცვლილებ(ები)ა და/ან დამატებ(ები)ა

შესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და არ ეწინააღმდეგება პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს.

3. დაევალოს სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტს (მ. ბეზარაშვილი):

ა) კოორდინაცია გაუწიოს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებს ამ ბრძანებით დამტკიცებული ღონისძიებების განხორციელებაში;

ბ) წარმოადგინოს ბრძანების პროექტი „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ მიმდინარეობის ინსპექტირების ჯგუფის შემადგენლობის და აუცილებლობის შემთხვევაში, პროგრამის ადმინისტრირებისათვის საჭირო დამატებითი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ;

გ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის წარსადგენად, პროგრამის განხორციელების შესახებ შუალედური და საბოლოო ანგარიშების მომზადება;

დ) პროგრამით სააგენტოსათვის განსაზღვრული სხვა მოთხოვნების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.

4. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების უფროსებს და/ან მათ მოადგილეებს, ხოლო ქალაქ თბილისის მასშტაბით - ასევე, სერვის ცენტრის უფლებამოსილ პირებს მიენიჭოთ უფლებამოსილება, სააგენტოს სახელით, ხელი მოაწერონ პროგრამის მოსარგებლებთან და მიმწოდებლებთან გასაფორმებელ დოკუმენტებს (ვაუჩერის (საგზური) ფორმები, მოსარგებლესთან შეთანხმება, მიმწოდებელთან ხელშეკრულება, მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ).

5. დაევალოთ სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელებს:

ა) საკუთარი ბრძანებით, განსაზღვრონ ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული განაცხადების სათანადო წესით მიღებასა და რეგისტრაციაზე, აგრეთვე, პირველი პუნქტის „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეთანხმებების/ხელშეკრულებების პროექტების მომზადებაზე უფლებამოსილ/პასუხისმგებელი, აგრეთვე, პროგრამის პირობების მიმდინარეობაზე მეთვალყურეობის უფლების მქონე პირ(ებ)ი;

ბ) დოკუმენტბრუნვის ელექტრონული მართვის სისტემის (დემს) საშუალებით დადგენილი წესით, მიაწოდონ სააგენტოს დასაქმების დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებები (მომსახურება/სტაჟირება), შესაბამისი დანართებით, აგრეთვე, „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფორმები (დანართი N6.1), გაფორმებიდან 2 სამუშაო დღეში;

გ) წარუდგინონ სააგენტოს ეკონომიკურ დეპარტამენტს მომსახურების (პროფესიული მომზადების/გადამზადების კურსი) შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებ(ებ)ი, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად (მ.შ. საბანკო გარანტია, მიმწოდებლის მხრიდან წინასწარი ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში), დოკუმენტბრუნვის ელექტრონული მართვის სისტემის ("დემს") საშუალებით, გაფორმებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს, ორიგინალების სახით - გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში;

დ) პრაქტიკული დახმარება გაუწიონ პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მაძიებლებს/მოსარგებლებს და პროგრამის მიმწოდებლებს პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

6. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს, ამ ბრძანების დოკუმენტბრუნვის ელექტრონული მართვის სისტემით („დემს“) სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის გაგზავნა.

7. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს, საჯარო გაცნობის მიზნით, ამ ბრძანების სააგენტოს ვებ-გვერდზე ([www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)) განთავსება.

8. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 14 ივნისის N04-331/ო ბრძანება.

9. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანა

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი,  
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის მოადგილე

A handwritten signature in black ink, appearing to be in Georgian script, located in the upper right quadrant of the page.

ზაზა სოფრომაძე



სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო -----

(ტერიტორიული ერთეულის დასახელება)

„სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ მოსარგებლედ რეგისტრირების მსურველი პირის

**გ ა ნ ა ც ხ ა დ ი**

მოსარგებლედ რეგისტრირების მსურველი პირის სახელი და გვარი	პირადი ნომერი:

ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი (ქალაქი/მუნიციპალიტეტი)

ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი ქუჩა, კორპუსი/სახლი, ბინა

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

ელექტრონული ფოსტა

საბანკო რეკვიზიტები (ივსება მხოლოდ სტაჟირების შემთხვევაში)	
საბანკო დაწესებულების დასახელება:	ბანკის კოდი:
ანგარიშის ნომერი:	

ინფორმაცია მისაწოდებელი მომსახურების შესახებ:	პროფესიული სწავლება <input type="checkbox"/>	პროფესია-----
	სტაჟირება <input type="checkbox"/>	პოზიცია-----

**განაცხადს თან ერთვის:**

1. რეგისტრირების მსურველი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის\* ასლი
2. ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატის ასლი)
3. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი)
4. დასკვნა სსსმ დადასტურების თაობაზე გაცემული საქართველოს განათლ. და მეცნიერების სამინისტროს მიერ (ასლი)
5. წერილობითი მომართვა სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრიდან
6. წერილობითი მომართვა სსიპ - არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოდან
7. წერილობითი მომართვა სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოდან
8. ქორწინების მოწმობა/პირველი ბავშვის დაბადების მოწმობა (ასლი)
9. პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი/სერტიფიკატის ასლი)

ხელმოწერით ვადასტურებ:

- განაცხადში მითითებული ინფორმაციის ნამდვილობას;
- წარმოდგენილი დანართების შესაბამისობას განაცხადში მითითებულ ინფორმაციასთან;
- პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სისწორეზე.
- თანხმობას, ჩემს შესახებ ინფორმაცია დამუშავებულ იქნეს, მათ შორის, მესამე პირს გადაეცეს, მხოლოდ „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ მიზნებისათვის.

მოსარგებლის ხელმოწერა -----

სააგენტოს თანამშრომელი, პოზიცია

--	--	--	--	--	--	--	--	--

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

---

სააგენტოს თანამშრომლის ხელმოწერა

*\* საქართველოს მოქალაქის პასპორტის ყველა გვერდის ასლის წარმოდგენა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლე დაბრუნებული მიგრანტია და დაბრუნებიდან არ არის გასული 1 წელზე მეტი*

**შეთანხმება მომსახურების/სტაჟირების მიღების პირობებზე**  
 პროგრამის რეგისტრირებულ მოსარგებლეს და სააგენტოს შორის

**შეთანხმების უნიკალური ნომერი**

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

მომსახურება

სტაჟირება

ინომრება ხელით: პირველი ორი ციფრი სოციალური პროგრამის რეგიონის კოდი, მომდევნო ორი ციფრი სოციალური პროგრამის მუნიციპალიტეტის კოდი, ბოლო სამი ციფრი მოსარგებლის რიგითი ნომერი და ბოლოს, მოინიშნება ერთ-ერთი: მომსახურება ან სტაჟირება)

**მოსარგებლის სახელი და გვარი** -----

**მოსარგებლის პირადი ნომერი**

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

**შეთანხმების ხელმოწერის თარიღი** -----

**2017 წელი**

**!!! გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ პროგრამით სარგებლობის პირობებს. პროგრამის ფარგლებში მომსახურებით/სტაჟირებით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ შეთანხმების ორმხრივად ხელმოწერის შემდეგ.**

**მუხლი 1. პროგრამის ზოგადი პირობები**

- წინამდებარე შეთანხმება გაფორმებულია „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში-პროგრამა) ფარგლებში, რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელსა (შემდგომში-მოსარგებელ) და პროგრამის განმახორციელებელს - სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის, მოიცავს პროგრამით სარგებლობის ძირითად პირობებს და ადასტურებს მოსარგებლის თანხმობას პროგრამით და ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ პირობებზე, მათ შორის, ინფორმირებულობას მოსარგებლის/განმახორციელებლის უფლებებსა და ვალდებულებებზე.
- პროგრამით დადგენილი ვადების დაცვით, გათვალისწინებულია:
  - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებაში კონკრეტული პროფესიის სასწავლო კურსის გავლა (შემდგომში-მომსახურება);
  - დამსაქმებელთან შეთანხმებით, თავისუფალ სამუშაო ადგილებზე რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება/სწავლება (შემდგომში-სტაჟირება).
- პროგრამის მიმწოდებელია სააგენტოში სათანადო წესით რეგისტრირებული, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული/აკრედიტირებული, საჯარო/კერძო სამართლის იურიდიული პირი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ან საჯარო/კერძო სამართლის იურიდიული პირი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და დამსაქმებელი ერთობლივად (მომსახურების კომპონენტში), ხოლო სტაჟირების კომპონენტში - კერძო სამართლის იურიდიული პირი დამსაქმებელი.
- პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება ხორციელდება მხოლოდ იმ პროფესიებში, რომელიც დადგენილია შრომის ბაზრის მოთხოვნის თვისებრივი კვლევის საფუძველზე და დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
- პროგრამით გათვალისწინებული სტაჟირების გავლა შეუძლიათ შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში - [www.worknet.gov.ge](http://www.worknet.gov.ge) - რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებს, მათ შორის 2015-2016 წლების მოკლევადიანი სასწავლო კურსის კურსდამთავრებულებს, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით.
- პროგრამით გათვალისწინებული სტაჟირების გავლა შესაძლებელია, მხოლოდ დამსაქმებელთან შეთანხმებით, თავისუფალი სამუშაო ადგილის არსებობის პირობებში.
- პროგრამით ანაზღაურდება ერთი მოსარგებლისთვის მომსახურებისა და/ან სტაჟირების მხოლოდ ერთი კურსი.

## **მუხლი 2. სააგენტოს უფლებამოსილება**

### **1. სააგენტო უფლებამოსილია:**

- ა) პროგრამის მიზნებისათვის დაამუშავოს მოსარგებლის პერსონალური ინფორმაცია, განიხილოს პროგრამით სარგებლობის მსურველი პირის სამიზნე ჯგუფთან შესაბამისობა, რისთვისაც, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს პირის შესახებ ინფორმაციის გადამოწმებას მის ხელთ არსებულ მონაცემთა ბაზებთან;
- ბ) პროგრამით სარგებლობის მსურველ პირს მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებებისა და მიწოდებლების შესახებ, ხოლო სტაჟირების შემთხვევაში, სტაჟირების გავლის პირობების, თავისუფალი სამუშაო ადგილისა და დამსაქმებლის შესახებ;
- გ) მიიღოს გადაწყვეტილება პირის პროგრამის მოსარგებლედ რეგისტრაციის შესახებ;
- დ) მეთვალყურეობისა და ინსპექტირების დადგენილი წესის შესაბამისად, მიიღოს გადაწყვეტილება მოსარგებლისათვის მომსახურების მიწოდების და/ან სტაჟირების შეწყვეტის შესახებ, მათ შორის, სახელმწიფო სტიპენდიის შეწყვეტის შესახებ;
- ე) მოსარგებლის მიერ საპატიო<sup>1</sup> მიზეზით მომსახურების მიღების და/ან სტაჟირების შეწყვეტის შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება მომსახურების მიწოდების და/ან სტაჟირების გაგრძელების შესახებ, პროგრამით განსაზღვრული წესის შესაბამისად;
- ვ) მომსახურების/სტაჟირების სრულად მიღების შემდეგ, სამუშაოს მაძიებლის შესაბამისი მიმართვის შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი კონსულტირება სამუშაოს ძიების ქმედითი გზების, დამსაქმებლისათვის საკუთარი თავის წარდგენისთვის საჭირო დოკუმენტების მომზადებისა და დასაქმების მიზნით ეფექტური კომუნიკაციის წარმოების საკითხებში, ასევე, მიაწოდოს სააგენტოს ხელთ არსებულ ინფორმაცია შესაბამისი პროფესიით დასაქმების პოტენციური ადგილების თაობაზე;

### **2. სააგენტო ვალდებულია, წინამდებარე შეთანხმების გაფორმების შემდეგ:**

- ა) მომსახურების მისაღებად, გადასცეს მოსარგებლეს დადგენილი ფორმის მატერიალიზებული ვაუჩერი;
- ბ) სტაჟირების გასავლელად, გადასცეს მოსარგებლეს დადგენილი ფორმის საგზური.

3. სააგენტო არ აგებს პასუხს მატერიალური ან რაიმე სხვა სახის ზიანისთვის, რომელიც პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების/სტაჟირების მიწოდების პროცესში, ან მასთან დაკავშირებით, შეიძლება მიადგეს მოსარგებლეს და/ან მომსახურების მიმწოდებელს/დამსაქმებელს.

## **მუხლი 3. მოსარგებლის უფლებამოსილება**

### **1. მოსარგებლე უფლებამოსილია:**

- ა) მომსახურების მიღების მიზნით, შეარჩიოს პროფესია, რომელშიც სურს მომსახურების მიღება და მიმწოდებელი;
- ბ) სტაჟირების გავლის მიზნით მიმართოს სააგენტოს;
- გ) სტაჟირების პერიოდში მიიღოს სახელმწიფო სტიპენდია თვეში 150 ლარის ოდენობით, არაუმეტეს 3 თვის განმავლობაში;
- დ) მიმართოს სააგენტოს პოტენციური დასაქმების ადგილების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, სამუშაოს ძიების ქმედითი გზების, დამსაქმებლისათვის საკუთარი თავის წარდგენისთვის საჭირო დოკუმენტების მომზადებისა და დასაქმების მიზნით ეფექტური კომუნიკაციის წარმოების საკითხებზე კონსულტაციის გასავლელად;
- ე) მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, მათ შორის, საპატიო მიზეზით მომსახურების მიღებისა და/ან სტაჟირების შეწყვეტის შემთხვევაში, წერილობით მიმართოს სააგენტოს მომსახურების მიღების და/ან სტაჟირების გაგრძელების თხოვნით, თუ პროგრამის დასრულებამდე დარჩენილი პერიოდი საკმარისია ამ მომსახურების ან სტაჟირების დასრულებისათვის;
- ვ) ნებისმიერ დროს შეწყვიტოს მომსახურების მიღება და/ან სტაჟირების გავლა;

### **2. მოსარგებლე ვალდებულია:**

<sup>1</sup> ხანგრძლივი ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა, ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის გაუარესება და სხვა.

- ა) სააგენტოს წარუდგინოს ყველა დოკუმენტი, რომელიც მისი მოსარგებლედ რეგისტრაციისთვის არის აუცილებელი;
- ბ) მომსახურების (სტაჟირების) მისაღებად ვაუჩერი (საგზურის) პროგრამის მიმწოდებელს წარუდგინოს არაუგვიანეს ვაუჩერზე (საგზურზე) მითითებული ვადისა;
- გ) სრულად მიიღოს პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება და/ან სრულად გაიაროს სტაჟირების კურსი, ეცადოს, სრულყოფილად აითვისოს მომსახურების ფარგლებში მიწოდებული თეორიული მასალა და სტაჟირების პროცესში გამოიმუშაოს სათანადო პრაქტიკული ჩვევები;
- დ) გაუფრთხილდეს პროგრამის მიმწოდებლის მფლობელობაში არსებულ ქონებასა და მატერიალურ-ტექნიკურ ფასეულობებს;
- ე) მიმწოდებლის მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედებისას, აცნობოს სააგენტოს;
- ვ) საკუთარი სურვილით მომსახურების მიღების და/ან სტაჟირების შეწყვეტის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს სააგენტოს;
- ზ) მონაწილეობა მიიღოს პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებულ გამოკითხვებსა და კვლევებში, მათ შორის, ამ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიღების დასრულების შემდგომ პერიოდში.

**მუხლი 4. პროგრამის სხვა პირობები**

- 1. მატერიალიზებულ ვაუჩერზე (საგზურზე) მითითებული ვადის გასვლის შემდგომ წარდგენილი ვაუჩერი (საგზური) ძალადაკარგულად ჩაითვლება – ის არ მიიღება მიმწოდებლის მიერ.
- 2. მოსარგებლე, რომელიც მომსახურების მიღების მიზნით ჩაირიცხება კონკრეტულ მიმწოდებელთან, მათ შორის სტაჟირებაზე, შესაბამის მომსახურებას (სტაჟირებას) იღებს მხოლოდ ამ მიმწოდებლისაგან;
- 3. მოსარგებლეს უფლება აქვს, მომსახურება (სტაჟირება) მიიღოს მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებულ რომელიმე ერთ პროფესიაში;
- 4. პროგრამა არ ითვალისწინებს:

- ა) მომსახურების (სტაჟირების) მიღების პროცესში მიმწოდებლის შეცვლას ან/და ერთ მიმწოდებელთან წარდგენილი ვაუჩერის (საგზურის) მეორე მიმწოდებელთან გადატანას;
- ბ) ერთ მიმწოდებელთან პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების (სტაჟირების) არასაპატიო მიზეზით შეწყვეტისას, მომსახურების მიღების გაგრძელებას პროგრამის ამ ან სხვა მიმწოდებელთან.
- 5. პროფესიული მომზადება-გადამზადების მომსახურების მიმწოდებლისათვის ანაზღაურების პირობები მითითებულია მიმწოდებელსა და სააგენტოს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.
- 6. სტაჟირების შემთხვევაში სახელმწიფო სტიპენდიის შუალედური ანაზღაურება პროგრამით გათვალისწინებული არ არის.
- 7. სტაჟირების შემთხვევაში, სახელმწიფო სტიპენდიის მოსარგებლისათვის ანაზღაურება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშის (ანგარიშების) წარდგენისა და ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, არაუგვიანეს შესაბამისი ანგარიშის (ანგარიშების) წარდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ, 10 კალენდარული დღისა. ხოლო, თუ საბოლოო ანგარიშის წარდგენა ხდება 2017 წლის დეკემბერში, ამ თვის 20 რიცხვამდე.
- 8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ხორციელდება მოსარგებლისათვის ამ შეთანხმების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო სტიპენდიის ანაზღაურება.
- 9. სტაჟირების პერიოდში განხორციელებული მეთვალყურეობისა და ინსპექტირების შედეგების საფუძველზე აღმოჩენილი დარღვევების, სტაჟიორისა და დამსაქმებლის მხრიდან არაკეთილსინდისიერი მოქცევის შემთხვევაში, ასევე დამსაქმებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სააგენტო უფლებამოსილია, შეწყვიტოს სტაჟიორისათვის სახელმწიფო სტიპენდიის გაცემა.

**მუხლი 5. დასკვნითი დებულებები**



1. წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით, მხარეები ადასტურებენ ვალდებულებას, შეასრულონ პროგრამით და ამ შეთანხმებით გათვალისწინებული მოთხოვნები;
2. პროგრამით გათვალისწინებული სერვისები მოსარგებლისათვის უფასოა;
3. შეთანხმება მოქმედებს პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სრულად მიღების და/ან სტაჟირების სრული კურსის დასრულებამდე, თუ ადგილი არ აქვს თანხმობის პირობების დარღვევას;
4. შეთანხმება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან.

**მხარეთა ხელმოწერები:**

მოსარგებლე -----

სააგენტოს წარმომადგენელი -----



„სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის  
ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ მიმწოდებლად რეგისტრირების მსურველი  
პირის განაცხადი (დადასტურება)<sup>1</sup>

სააგენტოს სამხარეო ცენტრი/რაიონული განყოფილება-----

**მიმწოდებლის რეკვიზიტები**

მითითებული მონაცემები გამოყენებული იქნება პროგრამის ფარგლებში  
ოფიციალური ურთიერთობებისათვის

<b>დაწესებულების სრული დასახელება</b>	<b>საიდენტიფიკაციო კოდი:</b>
	<input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/>

<b>იურიდიული მისამართი</b>	
ქალაქი/მუნიციპალიტეტი:	მისამართი:

<b>ფაქტობრივი (მომსახურების მიწოდების) მისამართი</b>	
ქალაქი/მუნიციპალიტეტი:	მისამართი:

<b>საკონტაქტო ტელეფონის ნომრები</b>	<b>ელექტრონული ფოსტა</b>
<input type="text"/>	<input type="text"/>

<b>საბანკო რეკვიზიტები</b>	
საბანკო დაწესებულების დასახელება:	
ბანკის კოდი:	ანგარიშის ნომერი:
<input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/>	

ინფორმაცია პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების/სტაჟირების და მომსახურების ანაზღაურების პირობის შესახებ:	მომსახურება <input type="checkbox"/>	მომსახურების წინასწარი ანაზღაურება <sup>2</sup> <input type="checkbox"/>
		მომსახურების შუალედური ანაზღაურება <input type="checkbox"/>
	სტაჟირება <input type="checkbox"/>	

<b>ორგანიზაციის ხელმძღვანელი</b>	
სახელი, გვარი:	პირადი ნომერი <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/>
პირადი ტელეფონის ნომერი (მობილური)	
პირადი ელექტრონული ფოსტა	

**პროგრამის მიმწოდებლად რეგისტრირების მსურველი პირის, მათ შორის, სტაჟირების მიმწოდებელი დამსაქმებლების მიერ წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა:**


1. მომსახურების/სტაჟირების მიმწოდებლად რეგისტრირების მსურველი პირის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (კერძო მიმწოდებლების შემთხვევაში);
2. მომსახურების/სტაჟირების მიწოდების მსურველი პირის სათანადო წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაცია/აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაცია/აკრედიტაციის და თვითშეფასების შედეგად დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნუსხა;
5. მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნუსხა, რომლის მომსახურების მიწოდებლად რეგისტრაციაც სურს განმცხადებელს (შესაბამისი ხელშეკრულების ფორმის დანართი 4.1-ის შესაბამისად);
6. მომსახურების მიწოდების სურვილის შემთხვევაში, მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პედაგოგთა ნუსხა;
7. მომსახურების მიწოდების სურვილის შემთხვევაში, მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის საჭირო თეორიული და სახარჯი მასალების მოკლე აღწერილობა, თითოეული პროფესიისათვის;
8. მომსახურების მიწოდების სურვილის შემთხვევაში, პრაქტიკული მეცადინეობებისათვის დამსაქმებლების შესახებ ინფორმაცია და მათთან გაფორმებული შეთანხმებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
9. მომსახურების მიწოდების სურვილის შემთხვევაში, მოკლევადიანი სასწავლო პროგრამების ბიუჯეტი (შესაბამისი ხელშეკრულების ფორმის დანართი 4.2-ის შესაბამისად);
10. მომსახურების მიწოდების სურვილის შემთხვევაში, მოკლევადიანი სასწავლო პროგრამების დასრულების შემდგომ შეფასების სქემების (სერტიფიცირების პროცესი) აღწერილობა (უნდა მოიცავდეს დარგის კონკრეტული დამსაქმებლების ჩართულობას);
11. სტაჟირების მიწოდების სურვილის შემთხვევაში, სტაჟირებისათვის განკუთვნილი პოზიციების (ვაკანსიების) ნუსხა, რომლის მიწოდებლად რეგისტრაციაც სურს ორგანიზაციას (შესაბამისი ხელშეკრულების დანართი 5.1-ის შესაბამისად).

**მე სახელი გვარი თანამდებობა**

• ვადასტურებ განაცხადებაში დაფიქსირებული მონაცემების სისწორეს, წარმოდგენილი დანართების შესაბამისობას განაცხადებაში მითითებულ ინფორმაციასთან, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი მომსახურების მიწოდების სურვილს და გამოვთქვამ მზადყოფნას, შევასრულო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, აღნიშნული სახელმწიფო პროგრამით და სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს ინდივიდუალურ – სამართლებრივი აქტ(ებ)ით გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულებები.

• სრულად ვიცნობ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების პირობებს, ვაკმაყოფილებ შესაბამისი საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და ვიღებ პასუხისმგებლობას, როგორც მიმწოდებელი, პროგრამით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებაზე, რასაც გავეცანი და ორგანიზაციის სახელით, ვადასტურებ განაცხადზე ხელმოწერით.

ხელმოწერა \_\_\_\_\_



(არსებობის შემთხვევაში)

\_\_\_\_\_

განაცხადების მიმღები, სააგენტოს თანამშრომელი, პოზიცია

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

**ხელმოწერა**-----

1. მიმწოდებლად რეგისტრაცია ხორციელდება სტაჟირების შემთხვევაში, ხოლო ვადასტურება ხორციელდება მომსახურების მიწოდებაზე, პროგრამის მიმწოდებლად სათანადო წესით დამტკიცებულ რეესტრში აღრიცხული პირის მიერ.

2. წინასწარი ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილ უნდა იქნეს წინასწარ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების დასრულების საბოლოო ვადას („-----“  
„-----2017“).

**მომსახურების (პროფესიული მომზადების/გადამზადების კურსი) შესყიდვის შესახებ  
ხელშეკრულება N**

(წინამდებარე ხელშეკრულების პროექტი ატარებს ნიმუშის ხასიათს და მისი საბოლოოდ შეჯერება მოხდება მიმწოდებელთან ხელშეკრულების დადების პროცესში, ინდივიდუალურად)

ქ. \_\_\_\_\_

„-----“ „-----“ 2017 წ.

**1. ხელშეკრულების მხარეები**

ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში-სააგენტო), დირექტორის ----- N ----- ბრძანების შესაბამისად უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი სახით და მეორე მხრივ, მიმწოდებლის დასახელება (შემდგომში-მიმწოდებელი), დირექტორის----- სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 04 აპრილის N182 დადგენილებით დამტკიცებული „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში - პროგრამა) ფარგლებში, სააგენტოდან გაგზავნილი მოსარგებლებებისათვის მიმწოდებლის მიერ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა.

2.2. მომსახურების მიწოდება გულისხმობს პროგრამის მოსარგებლებების სწავლებას მოკლევადიანი სასწავლო პროგრამების საფუძველზე და შესაბამისი დოკუმენტის (სერტიფიკატის) გაცემას.

**3. გასაწევი მომსახურების მახასიათებლები**

3.1. გასაწევი მომსახურების აღწერილობა: პროფესიები, მომსახურების მიწოდების დაწყების ვადები, მომსახურების მიწოდები ხანგრძლივობა, მინიმალური ასტრონომიული საათები, ერთეულის ფასი, ერთი მომსახურების მიწოდების განმავლობაში მოსარგებლეთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა და პრაქტიკული სწავლების ადგილმდებარეობა განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი 4.1-ის შესაბამისად.

3.2. მიწოდებული მომსახურების ფარგლებში თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების თანაფარდობა შეადგენს -----00/00-თან.

3.3. ხელშეკრულების დანართი 4.1-ის შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ პრაქტიკული კურსის მიზნით დამსაქმებელთან ( შემდგომში - დამსაქმებელი) გაფორმებული შეთანხმება/შეთანხმებები, მიმწოდებლის განაცხადის შევსებული ფორმა, მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტის შევსებული ფორმა (ხელშეკრულების დანართი 4.2) და მიღება-ჩაბარების აქტის ფორმა (ხელშეკრულების დანართი 4.3) წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**4. მომსახურების გაწევის პირობები**

4.1. მიმწოდებელი ახორციელებს მომსახურების გაწევას პროგრამისა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამის.

4.2. პროგრამით ანაზღაურდება ერთი მოსარგებლისთვის მომსახურების მხოლოდ ერთი კურსი.

4.3. თუ მოსარგებლე ვერ დაასრულებს მომსახურების მიღებას მისგან დამოუკიდებელი ან საპატიო მიზეზით, მაშინ სააგენტო, მიმწოდებელთან შეთანხმებით, უფლებას აძლევს მოსარგებლეს, დაასრულოს მომსახურების მიღება, თუ მოსარგებლე პროგრამის დასრულებამდე მიმართავს სააგენტოს და პროგრამის დასრულებამდე დარჩენილი დრო საკმარისია ამ მომსახურების მისაღებად.

4.4. მიმწოდებელს, სააგენტოსთან შეუთანხმებლად, უფლება არ აქვს უარი უთხრას ვადის დაცვით წარდგენილი ვაუჩერით მოსარგებლეს იმ პროფესიაში მომსახურების მიწოდებაზე, რომელშიც იგი მიმწოდებლად არის რეგისტრირებული.

## 5. მომსახურების ანაზღაურების პირობები

5.1. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება ხელშეკრულების დანართ 4.1-ში მითითებული პროფესიული პროგრამის ღირებულების, ამ პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობისა და მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

5.2. მომსახურება სრულად მიწოდებულად ითვლება, თუ მიმწოდებლის მიერ მოსარგებლისათვის მიწოდებული მომსახურების მოცულობა არ არის ნაკლები შესაბამის პროფესიაში განსაზღვრული სასწავლო (ასტრონომიული) საათების მინიმალურ რაოდენობაზე.

5.3. პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ვადის დაცვით წარდგენილი ვაუჩერი. ძალადაკარგული ვაუჩერის საფუძველზე, მომსახურების მიწოდების შემთხვევაში, ეს მომსახურება სააგენტოს მიერ არ ანაზღაურდება.

5.4. პროგრამით ანაზღაურდება ერთი მოსარგებლისთვის მომსახურების მხოლოდ ერთი კურსი.

5.5. მიწოდებული მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშის (ანგარიშების) წარდგენისა და ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, არაუგვიანეს შესაბამისი ანგარიშის (ანგარიშების) წარდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის (დანართი 4.3) გაფორმების შემდგომ, 10 კალენდარული დღისა. ხოლო, თუ საბოლოო ანგარიშის წარდგენა ხდება 2017 წლის დეკემბერში, ამ თვის 20 რიცხვამდე. ამასთან:

5.5.1. პროფესიული მომზადება-გადამზადების მომსახურების ღირებულების წინასწარი და/ან შუალედური ანაზღაურება შესაძლებელია, თუკი ხელშეკრულების გაფორმების მომენტში, მიმწოდებელი წინასწარ განსაზღვრავს წინასწარი/შუალედური ანაზღაურების მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანაზღაურება ხორციელდება სრული მომსახურების შემდეგ;

5.5.2. მომსახურების მიწოდების შუალედური ანაზღაურება ხორციელდება სრული მომსახურების ღირებულების 30%-20%-50% პროცენტული განაკვეთით, ამასთან, შუალედური ანაზღაურებისათვის მიმწოდებლის მიერ შუალედური ანგარიშ(ებ)ის სააგენტოსთვის წარდგენის და ინსპექტირების დასკვნების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე;

5.5.3. მომსახურების მიწოდების წინასწარი ანაზღაურება, თუ ასეთი მოთხოვნა დაფიქსირებულია მიმწოდებლის პროგრამაში მონაწილეობის დადასტურების განაცხადში, ხორციელდება სრული მომსახურების ღირებულების არაუმეტეს 30%-ით, რის შემდეგაც მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების დარჩენილი ნაწილი ანაზღაურდება საერთო წესით, საბოლოო ანგარიშის წარდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის (დანართი 4.3) საფუძველზე.

5.6. მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, თუ მოსარგებლემ შეწყვიტა მომსახურების მიღება, ხოლო რეგისტრაციის მომენტში მიმწოდებლის მიერ წინასწარი/შუალედური ანაზღაურება არ ყოფილა მოთხოვნილი, ანაზღაურება განხორციელდება საბოლოო ანგარიშის წარდგენის საფუძველზე, ამასთან, შეწყვეტის მომენტისათვის მიწოდებული მომსახურების მოცულობის – ასტრონომიული საათების კალკულაციის საფუძველზე, მოსარგებლის მიერ მიტოვებული სასწავლო ასტრონომიული საათები არ ანაზღაურდება.

5.7. თუ მოსარგებლისათვის მომსახურების მიწოდება გრძელდება დეკემბრის თვის 20 რიცხვის შემდგომ და სრულდება პროგრამის ვადის ამოწურვამდე, სააგენტოსთვის 2017 წლის დეკემბერში წარსადგენი საბოლოო ანგარიში უნდა მოიცავდეს მომსახურების მიწოდების ამ შემთხვევებს, რომლებიც ანაზღაურდება წინასწარ. ამასთან, თუ წინასწარ ანაზღაურებული მომსახურების მიწოდება არ ან ვერ დასრულდა პროგრამის განხორციელების ვადის ამოწურვამდე, მიმწოდებელი ვალდებულია, დაუბრუნოს სააგენტოს წინასწარ ანაზღაურებული იმ ასტრონომიული საათების ღირებულება, რომელთა ათვისებაც ვერ განხორციელდა არაუგვიანეს 2018 წლის 31 იანვრისა.

## 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ყოველი მომსახურების გაწევის შემდეგ, მიმწოდებლის მიერ სააგენტოში წარდგენილი ანგარიშის, აგრეთვე, პროგრამისა და ხელშეკრულების პირობების ზედამხედველობა/ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე, რისთვისაც ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი 4.3) სამ ეგზემპლარად.

6.2. მიმწოდებლის მიერ სააგენტოში გაწეული მომსახურების ანგარიშ(ებ)ი წარდგენილ უნდა იქნეს მომსახურების (შუალედური მომსახურების) დასრულებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღეში.

## 7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ლარებში.

7.2. მიწოდებული მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშ(ებ)ის წარდგენისა და ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, არაუგვიანეს შესაბამისი ანგარიშ(ებ)ის წარდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ, 10 კალენდარული დღისა. ხოლო, თუ საბოლოო ანგარიშის წარდგენა ხდება 2017 წლის დეკემბერში, ამ თვის 20 რიცხვამდე.

7.3. მიმწოდებლის მხრიდან შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში დასაშვებია წინასწარი ანგარიშსწორება.

7.4. ამ მუხლის 7.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების შემთხვევაში, „მემსყიდველი“ უზრუნველყოფს „მიმწოდებლისათვის“ წინასწარი ანგარიშსწორების გზით (ავანსის სახით) წარმოდგენილი საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვას, მას შემდეგ, რაც „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი იქნება ავანსად გადასარიცხი თანხის ოდენობის საბანკო გარანტია. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრულად მიწოდების ვადას (2017 წლის -----).

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

### 8.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.1.1. უზრუნველყოს მოსარგებლეთათვის მომსახურების მაღალი ხარისხით მიწოდება ხელშეკრულების დანართი 4.1-ის შესაბამისად;

8.1.2. მოსარგებლის მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქცევის და/ან მომსახურების არასრულყოფილად მიღების შემთხვევების თაობაზე წერილობით აცნობოს სააგენტოს;

8.1.3. მოსარგებლის მხრიდან საპატიო და/ან არასაპატიო მიზეზით მომსახურების მიღების შეწყვეტის თაობაზე წერილობით აცნობოს სააგენტოს, მომსახურების მიწოდების შეწყვეტიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა;

8.1.4. დამსაქმებლებთან პრაქტიკული სწავლების მიზნით მოსარგებლეთა გაგზავნის თაობაზე წერილობით აცნობოს სააგენტოს არანაკლებ გაგზავნამდე 5 სამუშაო დღისა;

8.1.5 უზრუნველყოს დარგის დამსაქმებლის ჩართვა მოსარგებლის საბოლოო შეფასების ეტაპზე და მოსარგებლისათვის სერტიფიკატის გადაცემა;

8.1.6. დაექვემდებაროს სააგენტოს მიერ დადგენილ პროგრამის მეთვალყურეობისა და ინსპექტირების წესებსა და პროცედურებს;

8.1.7. სააგენტოს წარუდგინოს შუალედური და/ან საბოლოო ანგარიშები ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების სრული დაცვით;

8.1.8. წინასწარი/შუალედური ანაზღაურების შემთხვევაში, ნებისმიერი მიზეზით მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, დააბრუნოს გაუწეველი მომსახურების ღირებულება;

8.1.9. არ დაუშვას სააგენტოსთან შეუთანხმებლად, ვადის დაცვით წარდგენილი მატერიალიზებული ვაუჩერის მიღებასა და პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებაზე მოსარგებლისათვის უარის თქმა;

8.1.10. არ დაუშვას პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიღებასთან დაკავშირებული ისეთი ვალდებულების დაწესება, რომლის შესრულება პირდაპირ ან ირიბად ფინანსურ ტვირთად დააწევა პროგრამის მოსარგებლეს;

8.1.11. ხელი შეუწყოს ინსპექტირების პროცესს და მიაწოდოს სააგენტოს/ინსპექტირების ჯგუფს/წევრს პროგრამის და ხელშეკრულების განხორციელებაზე მეთვალყურეობისათვის საჭირო ინფორმაცია;

8.1.12. აცნობოს სააგენტოს ავტორიზაციის შეწყვეტის, ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების ან ხელშეკრულების შეწყვეტის გამომწვევი სხვა გარემოების შესახებ, ასეთი გარემოების წარმოშობიდან 5 კალენდარული დღის ვადაში;

8.1.13. შეასრულოს პროგრამის ადმინისტრირების მიზნით სააგენტოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოთხოვნები.

8.1.14. . სააგენტოს წერილობითი შეტყობინებები მიაწოდოს ელექტრონული ფოსტით მისამართზე [www.info@ssa.gov.ge](mailto:www.info@ssa.gov.ge)

## **8.2. მიმწოდებელს უფლება აქვს:**

8.2.1. მოსთხოვოს სააგენტოს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ანაზღაურება პროგრამის და ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

8.2.2. შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება, თუ იგი შესაბამისი წერილობითი განცხადებით მიმართავს სააგენტოს, ამასთან, მიმართვის მომენტისათვის, მიმწოდებელს სრული მოცულობით უნდა ჰქონდეს მიწოდებული მომსახურება ჩარიცხული მოსარგებლ(ებ)ისათვის და ამ პროცესთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშსწორების პროცედურები დასრულებული უნდა იყოს.

## **8.3 სააგენტო ვალდებულია:**

7.3.1. უზრუნველყოს მიმწოდებელთან მოსარგებლეების გაგზავნა დანართი 4.1-ის შესაბამისად;

7.3.2. განახორციელოს მიმწოდებლის ინფორმაციული უზრუნველყოფა პროგრამის ფარგლებში;

7.3.3. უზრუნველყოს მომსახურების ანაზღაურება პროგრამით და ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით.

## **8.4. სააგენტოს უფლება აქვს:**

8.4.1. განახორციელოს მიმწოდებლის მომსახურების ზედამხედველობა და ინსპექტირება მომსახურების მიწოდების ნებისმიერ ეტაპზე;

8.4.2. შეწყვიტოს პროგრამის მიმწოდებელთან ხელშეკრულება პროგრამით გათვალისწინებული საფუძვლების წარმოშობისას;

8.4.3. ნებისმიერი სახით, მოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია მომსახურების მიმდინარეობასთან დაკავშირებით, მათ შორის, მეთვალყურეობისა და ინსპექტირების პროცესში.

## **9. ფორს-მაჟორი**

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება, მათ შორის, ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვადების დარღვევა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ით.

9.2. ამ ხელშეკრულებაში "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული სააგენტოსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოიწვიოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## **10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა**

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია, წინასწარ, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს სააგენტო არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3. სააგენტოში მიმდინარე სტრუქტურული ან სხვა ცვლილებების შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს მომსახურების შეწყვეტა (სრული ან არასრული მოცულობით), და შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტა ვადაზე ადრე ან შეთანხმების გაფორმება.

10.4. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა ან სააგენტოსთვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე, თუ იგი შესაბამისი წერილობითი განცხადებით მიმართავს სააგენტოს, ამასთან, მიმართვის მომენტისათვის, მიმწოდებელს სრული მოცულობით აქვს მიწოდებული მომსახურება (სტაჟირება) ჩარიცხული მოსარგებლებისათვის და ამ პროცესთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშსწორების პროცედურები დასრულებულია.

11.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს სააგენტოს ინიციატივით, თუ:

11.2.1. პროგრამის მიმწოდებელი არ ასრულებს ან უარს ამბობს, დაექვემდებაროს პროგრამის ფარგლებში მიწოდებული მომსახურების მეთვალყურეობისა და ინსპექტირების წესებსა და პროცედურებს;

11.2.2. სააგენტოსთვის ცნობილი გახდა მიმწოდებლის ავტორიზაციის შეწყვეტის, მიმწოდებლის ლიკვიდაციის ან გადახდისუნარიობის საქმისწარმოების დაწყების თაობაზე, აგრეთვე, პროგრამით გათვალისწინებულ თუნდაც ერთ პროფესიაში არადაამკაყოფილებელი მომსახურების ან სხვა დარღვევების თაობაზე, რაც დასტურდება მომსახურებაზე მეთვალყურეობისა და ინსპექტირების შედეგების საფუძველზე.

## 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. სააგენტომ და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკებების შედეგად სააგენტო და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს, დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია, დადგინილი წესის მიხედვით, მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის ცვლილების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

## 14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების, მათ შორის, ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი/ არაჯეროვნად შესრულებული მომსახურების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით.

14.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ს, სააგენტოს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 15. ხელშეკრულების შესრულების ზედამხედველობა და ინსპექტირება

15.1. სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის და მოცულობის ზედამხედველობა და ინსპექტირება ნებისმიერ დროს.



15.2. ხელშეკრულების შესრულების შუალედურ და საბოლოო ინსპექტირებას, დადგენილი წესის შესაბამისად, განახორციელებს სააგენტოს დირექტორის/ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელის ბრძანებით სათანადოდ უფლებამოსილი პირი ან პირთა ჯგუფი.

## 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

## 17. დასკვნითი პირობები

17.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

17.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

17.3. მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

17.4. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

17.5. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. შესახებ თუ არ მოხდა შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

17.6. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

17.7. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, „მიმწოდებლის“ ელექტრონულ ფოსტა: -----

17.8. მხარეები ვთანხმდებით, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების – დღეების ათვლისას არ გაითვალისწინება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან გარემოება.

17.9. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის უქმე ან დასვენების დღეებზე დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობა უნდა შესრულდეს არაუგვიანეს დადგენილი ვადის მომდევნო სამუშაო დღეს.

17.10. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ---- (----) ფურცლად, 3 (სამი) ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან“, ხოლო ერთი ეგზემპლარი – „მიმწოდებელთან“.

მიმწოდებელი  
საიდენტიფიკაციო კოდი  
საბანკო რეკვიზიტები

სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის დასახელება  
საბანკო რეკვიზიტები

თანამდებობა, სახელი, გვარი

თანამდებობა, სახელი, გვარი

---

---

**დანართი 4.1**

მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნუსხა

N	პროფესია	კურსის ხანგრძლივობა	ასტრონომიული საათების რაოდენობა	პრაქტიკული მეცადინეობის ადგილი (დამსაქმებელი)	კურსის ღირებულება (ლარი)	სწავლების დაწყების ვადა	სასწავლო ჯგუფში მოსარგებლეთა მინიმალური რაოდენობა	სასწავლო ჯგუფში მოსარგებლეთა მაქსიმალური რაოდენობა

ხელმოწერა-----

ბ.ა.

თარიღი -----2017

**დანართი 4.2.**

მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი

N	პროფესია	თეორიული მასალა	სახარჯი მასალა	სახელფასო ფონდი	კომუნალური გადასახადები	ტრანსპორტირება	სხვა ხარჯი
---	----------	-----------------	----------------	-----------------	-------------------------	----------------	------------

1							
2							
3							
4							
5							
6							
7							
8							

ნაწილობრივი ანაზღაურება : კი , არა

ხელმოწერა----- ბ.ა

თარიღი -----2017

მიღება-ჩაბარების აქტი



შუალედური

ქ. თბილისი

-----2017წ.

„სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და -----  
 ----- შორის 2017 წლის ----- გაფორმებული პროფესიული მომზადება-გადამზადების  
 მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულება N-ის საფუძველზე „მიმწოდებელმა“-----  
 ----- განახორციელა მომსახურება:

N	მოსარგებლის სახელი და გვარი	პროფესია	მიწოდებული ასტორნომიული საათების რაოდენობა	შედეგი: გრძელდება სწავლება/ გაიცა სერტიფიკატი N

შესრულებული სამუშაო აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.  
 გათხოვთ აუნაზღაუროთ ----- (თანხა სიტყვიერად) ლარის გაწეული მომსახურება.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს  
 (ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელი) ----- ბ.ა

„მიმწოდებელი“  
 დირექტორი ----- ბ.ა.

**სტაჟირების განხორციელების შესახებ  
ხელშეკრულება N**

(წინამდებარე ხელშეკრულების პროექტი ატარებს ნიმუშის ხასიათს და მისი საბოლოოდ შეჯერება მოხდება მიმწოდებელთან ხელშეკრულების დადების პროცესში, ინდივიდუალურად)

ქ. თბილისი

”-----“----- 2017წ.

**1. ხელშეკრულების მხარეები**

ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, (შემდგომში -სააგენტო), დირექტორის - -----N-----ბრძანების შესაბამისად უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და მეორე მხრივ, დამსაქმებელი (შემდგომში\_მიმწოდებელი), დირექტორის----- სახით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. ხელშეკრულების საგანია:

2.1.1. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 04 აპრილის N182 დადგენილებით დამტკიცებული „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში-პროგრამა) ფარგლებში, სააგენტოდან გაგზავნილი მოსარგებლებისათვის მიმწოდებლის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სტაჟირებით უზრუნველყოფა;

2.1. 2. სტაჟირების დასრულების შემდგომ დამსაქმებელი შერჩევის საფუძველზე უფორმებს შრომით ხელშეკრულებას არანაკლებ ერთ სტაჟიორს, მოქმედი კანონმდებლის შესაბამისად.

**3. სტაჟირების განხორციელების მახასიათებლები**

3.1 გასაწევი მომსახურების აღწერილობა: პროფესიები და/ან პოზიციები, სტაჟირების ხანგრძლივობა, სტაჟირებისათვის სტაჟიორთა მაქსიმალური რაოდენობა და სტაჟირების პროცესის მეთვალყურეობაზე მიმწოდებლის მხრიდან პასუხისმგებელი პირი განისაზღვრება ხელშეკრულების დანართ 5.1. -ის შესაბამისად;

3.2 ხელშეკრულების დანართი N5.1, მიმწოდებლის მიერ სათანადოდ შევსებული რეგისტრაციის განაცხადი და მიღება-ჩაბარების აქტის ფორმა (დანართი N5.2) წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**4. მომსახურების გაწევის პირობები**

4.1. მიმწოდებელი მოსარგებლის სტაჟირებას ახორციელებს პროგრამის პირობებისა და ამ ხელშეკრულების დანართი 5.1-ის შესაბამისად.

4.2. პროგრამით ანაზღაურდება სტაჟირების მხოლოდ ერთი კურსი.

4.3. მოსარგებლეს უფლება აქვს, სტაჟირება გაიაროს მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებულ რომელიმე ერთ პროფესიაში.

4.4. მოსარგებლე, რომელიც ჩაირიცხება კონკრეტულ მიმწოდებელთან, სტაჟირებას გაივლის მხოლოდ ამ მიმწოდებელთან.

4.5. სტაჟირების გასავლელად მოსარგებლე წარუდგენს საგზურს პროგრამის მიმწოდებელს არაუგვიანეს საგზურზე მითითებული ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდგომ წარდგენილი საგზური ძალადაკარგულად ჩაითვლება – ის არ მიიღება მიმწოდებლის მიერ.

4.6. სტაჟირების მიზნით, სამუშაოს მაძიებელთა შერჩევა, მათი რაოდენობის განსაზღვრა და გაგზავნა ხდება დამსაქმებელთან შეთანხმებით, ამასთან, სტაჟირებით სარგებლობის თაობაზე, სააგენტოსთან შეთანხმებით, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მიმწოდებელი, მოსარგებლის გაგზავნიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღეში.

4.7. პროგრამა არ ითვალისწინებს:

- 4.7.1. სტაჟირების გავლისას მიმწოდებლის შეცვლას ან/და ერთ მიმწოდებელთან წარდგენილი საგზურის მეორე მიმწოდებელთან გადატანას;
- 4.7.2. ერთ მიმწოდებელთან პროგრამით გათვალისწინებული სტაჟირების არასაკაპტო მიზეზით შეწყვეტისას, მის გაგრძელებას პროგრამის ამ ან სხვა მიმწოდებელთან.
- 4.8. თუ მოსარგებლე ვერ დაასრულებს სტაჟირებას მისგან დამოუკიდებელი ან სააკაპტო მიზეზით, მაშინ სააგენტო, მიმწოდებელთან შეთანხმებით, უფლებას აძლევს მოსარგებლეს, დაასრულოს სტაჟირება, თუ მოსარგებლე პროგრამის დასრულებამდე მიმართავს სააგენტოს და პროგრამის დასრულებამდე დარჩენილი დრო საკმარისია სტაჟირების გასაგვლელად;
- 4.9. სტაჟირებაზე გაგზავნილი მოსარგებლებისათვის გაიცემა სახელმწიფო სტიპენდია, ამასთან, სახელმწიფო სტიპენდიის ოდენობა არ აღემატება თვეში 150 ლარს.
- 4.10. სტაჟიორი კვალიფიკაციას აიმაღლებს მხოლოდ იმ კერძო დაწესებულების ვაკანტურ პოზიციაზე, რომელიც თანხვედრაშია მის კვალიფიკაციასთან.
- 4.11. სტაჟირების დასრულების შემდგომ დამსაქმებელი შერჩევის საფუძველზე უფორმებს შრომით ხელშეკრულებას არანაკლებ ერთ სტაჟიორს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 4.12. პროგრამის მიზნებისათვის სტაჟირება ერთჯერადი ხასიათისაა და ტარდება პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების, გამოცდილების მიღებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.
- 4.13. სტაჟირების მაქსიმალური ხანგრძლივობა განისაზღვრება დამსაქმებელთან შეთანხმებით და იგი არ აღემატება სამ კალენდარულ თვეს.
- 4.14. სტაჟირების პერიოდში განხორციელებული მეთვალყურეობისა და ინსპექტირების შედეგების საფუძველზე აღმოჩენილი დარღვევების, სტაჟიორისა და დამსაქმებლის მხრიდან არაკეთილსინდისიერი მოქცევის შემთხვევაში, შესაძლებელია შეწყდეს სახელმწიფო სტიპენდიის გაცემა.
- 4.15. ერთ თავისუფალ სამუშაო ადგილზე სტაჟირება შესაძლებელია გაიაროს რამდენიმე სტაჟიორმა, რასაც წყვეტს მიმწოდებელი, სააგენტოსთან შეთანხმებით.
- 4.16. მიმწოდებელს ამ ხელშეკრულების ფარგლებში სააგენტოსაგან ანაზღაურება არ მიეცემა.
- 4.17. სტაჟირების შემთხვევაში სახელმწიფო სტიპენდიის წინასწარი/შუალედური ანაზღაურება პროგრამით გათვალისწინებული არ არის.
- 4.18. სახელმწიფო სტიპენდიის ანაზღაურება მოსარგებლისათვის ხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარდგენისა და ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, სააგენტოს მიერ დადგენილი წესის დაცვით, არაუგვიანეს შესაბამისი ანგარიშის (ანგარიშების) წარდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ, 10 კალენდარული დღისა. ხოლო, თუ საბოლოო ანგარიშის წარდგენა ხდება 2017 წლის დეკემბერში, ამ თვის 20 რიცხვამდე.

## **5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება სტაჟირების კურსის ყოველი სააგნარიშო თვის დასრულების შემდეგ, სტაჟირებისა და ხელშეკრულების პირობების ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი სამ ეგზემპლარად;

## **6. ანგარიშსწორება**

6.1. მოსარგებლესთან სახელმწიფო სტიპენდიით ანგარიშსწორების პირობები ასახულია მასსა და სააგენტოს შორის გაფორმებულ შეთანხმებაში.

## **7. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

### **7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:**

7.1.1. უზრუნველყოს მოსარგებლეთათვის სტაჟირების მაღალი ხარისხით მიწოდება ხელშეკრულების დანართი 5.1-ის შესაბამისად;

- 7.1.2 მოსარგებლის მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქცევის და/ან სტაჟირების არასრულყოფილად მიღების შემთხვევების თაობაზე წერილობით აცნობოს სააგენტოს;
- 7.1.3 მოსარგებლის მხრიდან საპატიო და/ან არასაპატიო მიზეზით მომსახურების მიღების შეწყვეტის თაობაზე წერილობით აცნობოს სააგენტოს მომსახურების მიწოდების შეწყვეტიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა;
- 7.1.4. სტაჟირების წარმატებით დასრულების შემდეგ, 10 სამუშაო დღის ვადაში, შერჩევის საფუძველზე უზრუნველყოს მისთვის მისაღებ არანაკლებ ერთ სტაჟიორთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო დანარჩენ სტაჟიორებზე გასცეს სათანადო წესით (კომპანიის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით) დამოწმებული სტაჟირების გავლის დამადასტურებელი ცნობა;
- 7.1.5 განახორციელოს სააგენტოს მიერ სტაჟირების გასავლელად წარდგენილი მოსარგებლების შერჩევა წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში და შერჩევის შედეგები წერილობით აცნობოს სააგენტოს;
- 7.1.6. დაექვემდებაროს სააგენტოს მიერ დადგენილ სტაჟირების მეთვალყურეობისა და ინსპექტირების წესებსა და პროცედურებს;
- 7.1.7. არ დაუშვას სტაჟირების მიღებასთან დაკავშირებული ისეთი ვალდებულების დაწესება, რომლის შესრულება პირდაპირ ან ირიბად ფინანსურ ტვირთად დააწვება პროგრამის მოსარგებლეს;
- 7.1.8. სააგენტოს წერილობითი შეტყობინებები მიაწოდოს ელექტრონული ფოსტით მისამართზე [info@ssa.gov.ge](mailto:info@ssa.gov.ge).
- 7.1.9. აცნობოს სააგენტოს ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების ან ხელშეკრულების შეწყვეტის გამომწვევი სხვა გარემოების შესახებ, ასეთი გარემოების წარმოშობიდან 5 კალენდარული დღის ვადაში;
- 7.1.10. შეასრულოს პროგრამის ადმინისტრირების მიზნით სააგენტოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;
- 7.1.11. დაექვემდებაროს პროგრამის ფარგლებში ხელშეკრულების შესრულების მეთვალყურეობისა და ინსპექტირების წესებსა და პროცედურებს, მიაწოდოს სააგენტოს ამისათვის საჭირო ინფორმაცია და ხელი შეუწყოს ამ პროცედურების განხორციელებას.

## **7.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

- 7.2.1. მოსარგებლის გაგზავნიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღეში, უარი თქვას მისთვის სტაჟირების მიწოდებაზე;
- 7.2.2. სააგენტოსათვის წარდგენილი წერილობითი განცხადებით მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, თუ მიმართვის მომენტისათვის სრული მოცულობით აქვს მიწოდებული მოსარგებლ(ებ)ისათვის სტაჟირება;
- 7.2.3. პროგრამის დასრულებამდე მიმართოს სააგენტოს შეწყვეტილი რეგისტრაციის განახლების მოთხოვნით, ამასთან, ახალი რეგისტრაცია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტაჟირების ვადა არ სცილდება 2017 წლის 31 დეკემბერს;
- 7.2.4. მიიღოს გადაწყვეტილება მოსარგებლის მიერ სტაჟირების დროებითი შეწყვეტის მიზეზების დადგენილი წესების შესაბამისად საპატიოდ აღაირების შესახებ;
- 7.2.5. მიმართოს სააგენტოს მოსარგებლის მიერ საპატიო მიზეზებით დროებით შეწყვეტილი სტაჟირების გაგრძელების შესახებ, თუ სტაჟირების დარჩენილი ხანგრძლივობა შესაძლებელია დასრულდეს პროგრამის დასრულებამდე - 2017 წლის 31 დეკემბრამდე;
- 7.2.6. სტაჟირების დასრულების შემდგომ, სააგენტოს ყოველგვარი ჩარევის გარეშე, სტაჟიორთა შორის, შეარჩიოს მისთვის მისაღები არანაკლებ ერთი სტაჟიორი, დასაქმებისა და კანონით დადგენილი წესით, შრომითი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით;

## **7.3. სააგენტო ვალდებულია:**

- 7.3.1. უზრუნველყოს სტაჟირებისათვის მოსარგებლეთა შერჩევა და მიმწოდებელთან გაგზავნა დანართი 5.1-ის შესაბამისად;

7.3.2. სტაჟირების პერიოდში უზრუნველყოს მოსარგებლები სახელმწიფო სტიპენდიით, პროგრამით გათვალისწინებული პირობებით;

7.3.4 სტაჟირების დაწყებიდან 10 სამუშაო დღეში მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოს სტაჟიორთა ჩანაცვლება;

#### **7.4. სააგენტოს უფლება აქვს:**

7.4.1. განახორციელოს ზედამხედველობა სტაჟირების ნებისმიერ ეტაპზე მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებასა და პროცედურების დაცვაზე;

7.4.2. შეწყვიტოს პროგრამის მიმწოდებლის რეგისტრაცია პროგრამის განხორციელების ვადის ამოწურვამდე, პროგრამით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძველების არსებობისას;

7.4.3 მიმწოდებელთან შეთანხმებით, სტაჟიორის მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო, შეწყვიტოს სტაჟირების პროცესი და სახელმწიფო სტიპენდიის გაცემა, ამასთან მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე, სტაჟირების დაწყებიდან 10 სამუშაო დღეში მოახდინოს სტაჟიორის ჩანაცვლება;

7.4.4. პროგრამის სწორი ადმინისტრირების მიზნებისათვის ისარგებლოს სააგენტოს მიერ გამოყენებადი მონაცემთა ბაზებით.

### **8. ფორს-მაჟორი**

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

8.2. ამ ხელშეკრულებაში "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული სააგენტოსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

### **9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა**

9.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წინასწარ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს სააგენტო არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. სააგენტოში მიმდინარე სტრუქტურული ან სხვა ცვლილებების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს მომსახურების შეწყვეტა (სრული ან არასრული მოცულობით), და შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტა ვადაზე ადრე ან შეთანხმების გაფორმება.

9.4 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება სააგენტოსთვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.



## 10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. სააგენტომ და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში სააგენტო და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

## 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის ცვლილების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

## 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების, მათ შორის, ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო სააგენტოს მიერ სტაჟირების პროცესში სტაჟიორთათვის გადახდილი ჯამური თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით.

12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ს, სააგენტოს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო სააგენტოს მიერ სტაჟირების პროცესში სტაჟიორთათვის გადახდილი ჯამური თანხის არანაკლებ 50%-ის ოდენობით.

## 13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს სტაჟირების მეთვალყურეობა და ინსპექტირება დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად, ნებისმიერ ეტაპზე.

13.2. ხელშეკრულების შესრულების შუალედურ და საბოლოო ინსპექტირებას, დადგენილი წესის შესაბამისად, განახორციელებს სააგენტოს მიერ სათანადოდ უფლებამოსილი პირი ან პირთა ჯგუფი.

## 14. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე, თუ იგი შესაბამისი წერილობითი განცხადებით მიმართავს სააგენტოს, ამასთან, მიმართვის მომენტისათვის, მიმწოდებელს სრული მოცულობით აქვს მიწოდებული სტაჟირება ჩარიცხული მოსარგებლებებისათვის.

14.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს სააგენტოს ინიციატივით, თუ:

14.2.1. პროგრამის მიმწოდებელი არ ასრულებს ან უარს ამბობს, დაექვემდებაროს პროგრამის ფარგლებში მიწოდებული მომსახურების მეთვალყურეობისა და ინსპექტირების წესებსა და პროცედურებს;

14.2.2. სააგენტოსთვის ცნობილი გახდა მიმწოდებლის ლიკვიდაციის ან გადახდისუნარობის საქმისწარმოების დაწყების თაობაზე, აგრეთვე, პროგრამით გათვალისწინებულ თუნდაც ერთი მოსარგებლისათვის არადადამაკმაყოფილებელი მომსახურების ან სხვა დარღვევების თაობაზე, რაც დასტურდება მომსახურებაზე მეთვალყურეობისა და ინსპექტირების შედეგების საფუძველზე.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მის საფუძველზე მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

## 16. დასკვნითი პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (6 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო ორი -სააგენტოში.

მიმწოდებელი  
საიდენტიფიკაციო კოდი  
საბანკო რეკვიზიტები

სახელი, გვარი

---

სააგენტო

საბანკო რეკვიზიტები

სახელი, გვარი

---



სტაჟირებისათვის განკუთვნილი პოზიციების (ვაკანსიების) ნუსხა

N	პოზიცია (ვაკანსია)	პოზიციის (ვაკანსიის) რაოდენობა	სტაჟიორთა რაოდენობა	სტაჟირების ვადა (არაუმეტეს 4 თვისა)	სტაჟიორთა პროფესია	სტაჟიორთა სქესი	სტაჟორთა ასაკი	დამატებითი უნარები		
								კომპიუტ. უნარები	უცხო ენები	სხვა
1										
2										
3										
4										
5										

ხელმოწერა -----

ბ.ა

თარიღი: “-----“-----2017 წ.

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი

-----2017წ.

„სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ----- შორის 2017 წლის ----- გაფორმებული სტაჟირების განხორციელების შესახებ ხელშეკრულება N-ის საფუძველზე „მიმწოდებელმა“----- განახორციელა სტაჟირება:

N	სტაჟიორის სახელი და გვარი	პოზიცია/ვაკანსია	სტაჟირების ხანგრძლივობა	სახელმწიფო სტიპენდიის ოდენობა	შედეგი: გრძელდება სტაჟირება/ გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება/გაიცა ცნობა

შესრულებული სამუშაო აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. გთხოვთ, აუნაზღაუროთ სტაჟიორებს სახელმწიფო სტიპენდია ცხრილში მითითებული თანხის ოდენობით.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს  
(ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელი) ----- ბ.ა

„მიმწოდებელი“  
დირექტორი ----- ბ.ა.

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების  
სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობის

მეთვალყურეობისა და ინსპექტირების პროცედურები

1. „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობის მეთვალყურეობისა და ინსპექტირების პროცედურები“ (შემდგომში-პროცედურები) მომზადებულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 04 აპრილის N182 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების და ამ დადგენილებით დამტკიცებული „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში-პროგრამა) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიზნად ისახავს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტურ და ხარისხიან განხორციელებას.
2. პროგრამის მეთვალყურეობას ახორციელებენ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო) ტერიტორიული ერთეულების სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
3. პროცედურები მოიცავს, როგორც პროგრამის მიმწოდებლის, ასევე, პროგრამით მოსარგებლე სამუშაოს მაძიებლების მხრიდან პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესწავლას.
4. მეთვალყურეობის მიზნით, სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა განახორციელოს ვიზიტი პროგრამის მიმწოდებელთან არანაკლებ კვირაში ერთხელ, კვირის სხვადასხვა დღეებში, მცოცავი გრაფიკით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მეცადინეობების ცხრილის საფუძველზე.
5. მეთვალყურეობის შედეგების ასახვა უნდა მოხდეს სპეციალურ ფორმაში (იხ. დანართი N6.1), რის შემდეგაც, ფორმის დასკანერებული ვერსია შედგენიდან მომდევნო სამუშაო დღეს, უნდა გადმოიგზავნოს სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტში, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული მართვის სისტემის (დემს) საშუალებით;
6. მიმწოდებლების მიერ, თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე პროგრამით მოსარგებლეების დასწრების შედეგების ასახვა უნდა მოხდეს სპეციალურ ფორმაში (იხ. დანართი N6.2), რის შემდეგაც ფორმის დასკანერებული ვერსია უნდა გადმოიგზავნოს სააგენტოს დასაქმების დეპარტამენტში, სააგენტოს ოფიციალური ელექტრონული ფოსტის – [info@ssa.gov.ge](mailto:info@ssa.gov.ge) –მეშვეობით;
7. დასაქმების პროგრამების დეპარტამენტმა უნდა განახორციელოს სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებისაგან გადმოიგზავნილი მეთვალყურეობის შედეგების (ფორმები) შედარება ინსპექტირების შედეგებსა და მიმწოდებლის მიერ მოწოდებული დასწრება/აღრიცხვის სპეციალურ ფორმასთან;
8. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებიდან მოწოდებული მეთვალყურეობის შედეგების (ფორმა N6.1) შეფასება და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა ხდება პროგრამის მიმდინარეობის ინსპექტირების მიზნით შექმნილ ჯგუფში.
9. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები, მეთვალყურეობის შედეგები და ინსპექტირების ჯგუფის შეხვედრების ოქმები/დასკვნები, ერთად, წარმოადგენენ მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს.



„სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“  
მეთვალყურეობის შედეგების ფორმა

სააგენტოს ტერიტორიული ერთეული -----

შედეგის თარიღი „-----“, -----2017 წ.

მიმწოდებელი -----

N	მოსარგებლის სახელი, გვარი და პირადი ნომერი	გაგზავნილი პროფესიაზე	სწავლობს / სტაჟირებას გადის პროფესიაზე (მოსარგებლის პასუხი)	დასწრება მეთვალყურეობის მომენტში (კი, არა)	დასწრება მიმწოდებლის არლიცხვის სიის მიხედვით (გაცდენილი საათების რაოდენობა)	სწავლის/სტაჟირების ხანგრძლივობა (მოსარგებლის პასუხი)	მიწოდებული ასტორნომიული საათების რაოდენობა (მიმწოდებლის პასუხი)	გაწეული მომსახურებით/სტაჟირებით კმაყოფილების ხარისხი 0-5 ქულა (მოსარგებლის პასუხი)	მოსარგებლის სწავლის/სტაჟირების ხარისხი 0-5 ქულა (მიმწოდებლის პასუხი)	შედეგი: გრძელდება მომსახურება(სტაჟირება)/გაიცა სერტიფიკატი/ სტაჟირების დამადასტურებელი დოკუმენტი N / დასაქმდა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1										
2										

სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის უფლებამოსილი პირი -----

სახელი, გვარი, თანამდებობა

მიმწოდებლის უფლებამოსილი პირი -----

სახელი, გვარი, თანამდებობა

ხელმოწერა -----



„სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში მოსარგებლეთა თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასწრების აღრიცხვის ფორმა


რეგიონი/რაიონი \_\_\_\_\_

შედგენის თარიღი „-----“ -----2017 წ.

მიმწოდებელი -----

1	2	3	4	5														6	7	8	9		
				თვე და რიცხვი <sup>1</sup>																			

მიმწოდებლის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა -----



<sup>1</sup> ვინაიდან აღრიცხვის ფორმის მოწოდება უნდა განხორციელდეს ორ კვირაში ერთხელ, დასწრების შესახებ ინფორმაცია უნდა აღრიცხოს მეცადინეობის დაწყებიდან ფორმის წარმოდგენის თარიღის ჩათვლით;